


თბილი დღესა

გომგძელ
ცოლისა







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამოცემლობა: 1586
ჯიბის წიგნები: 133

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიმ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/19

ISBN: 978-605-7519-45-0

2019-06-Y-0003-1586

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. Ihr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამოცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

გარემოს ცოდნა



თბილი ძისწინი



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი რწმუნის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

დიდი ქალაქები • 17

ანდერძი • 23

სკოლის აქაცია • 31

მშიერი ციყვები ქალაქს შეესივნენ • 36

გარემოს დამცველი ტაპირი რას მოიმოქმედებს? • 44

სანდოუს გარემობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სიკრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებული არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან თჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუოუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

ქიამეთ სურას 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებომათ!“

თექასურის სურას მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებობა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები და ეკისრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ლირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიდარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ლირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა

რადაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნაოებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული ფსიქო-თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-

ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ეველამ ერთად ვიბრძოდოთ.

შესხვა


“დიდება ალლაპჲა!

ის არის ხილული და უხილდავი
სამყაროს მპყრობელი. ვაღიარებ,
რომ ის არის სრულყოფილება და
ყოველგვარი ნაკლოვანებისგან შორს
მდგომი.”

სამყაროს გამჩენი აბსოლუტურად უნაკ-
ლოა. მან ადამიანი და მის გარშემო სამყა-
როც ლამაზი და სუფთა გააჩინა. ლმერთმა
გააჩინა შესანიშნავი სისტემა, რომლის წყა-
ლობითაც დედამიწაზე მიმდინარე დაბინ-
ძურება და ნარჩენები მუდმივად იწმინდება.

სულიერმა სამყარომ რომ იარსებოს ეს
სისტემა იდეალურადაა შექმნილი და რაიმე
ნაკლოვანება არ გააჩნია. თუმცა, თანამედ-
როვე მსოფლიოს ერთ-ერთი მწვავე გამოწ-
ვევა და პრობლემა ამ სისტემაში უხეში
ჩარევა და გარემოს დაბინძურებაა. პაერის
და წყლების დაბინძურება, ტყეების გაჩეხვა
და ამის შედეგად გამოწვეული კლიმატის
ცვლილება ნათელი დასტურია იმისა, რომ
ჩვენ გარემოს არ ვუფრთხილდებით და არ
ვიცავთ. ადამიანები თავისუფლად და ყო-
ველგვარი მორიდების გარეშე აბინძურებენ
გარემოს, რაც გარემოს დაბინძურების გარ-
და მათი სულის სიბინძურეზე შეჩვევას იწ-

ვევს, რომლის გამოსწორებაც უკიდურესად
ძნელია.



დარღვეული ბუნებრივი წონასწორობის
და ეკოლოგიური ცვალებადობის შედეგად

არამარტო მცენარეები და ცხოველები, არა-
მედ ადამიანებიც ზიანდებიან. ადამიანი ასე-
თი ქცევით იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის.
როგორც მფლანგველი და ფუქსავატი შვი-
ლი უმაღლ გაანიავებს მემკვიდრეობით მი-
დებულ ქონებას და დარჩება ხელცარიელი,
ასე მოურიდებლად გარემოს დაზიანება და
განადგურება დედამიწას საცხოვრებლად
გაუსაძლისს გახდის და ადამიანი თვითონ-
ვე დარჩება გამოუვალ მდგომარეობაში.

ყურანში ნაბრძანებია, რომ დმერთმა ცა
და დედამიწა, ყველა ცოცხალ არსებასთან
ერთად გარკვეული წონასწორობის ფარგ-
ლებში გააჩინა და ეს წონასწორობა არ
უნდა დაირღვეს. (იხ. სურა რაჰმანი 55/7-12)

გარდა ამისა, ადამიანებმა ცაშიც და დე-
დამიწაზეც ჩადენილი ბოროტების შედეგად
ბევრი ნეგატიური ცვლილება გამოიწვიეს.
ამის სამაგიეროდ ისევ ადამიანებს ექმნე-
ბათ პრობლემები. ეს, როგორც ყურანშია
ნაბრძანები, სასჯელია მათთვის.

ყურანში სისუთავის შესახებ მრავალი
აიათია გადმოცემული:

“დაგიწესათ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს
მომნანიებელნი და უყვარს განწმენდილე-
ბი!” (სურა ბაყარა 2/222)

ხოგჯერ, მარტოობის დროს გულისმიგ-

განებოს ცოლი

რი ვედრება, გულწრფელი ცრემლები, გულახდილი მონანიება, უანგარო დახმარება და მსგავსი ქცევები ბოროტებასა და ჭუჭყს აქრობს. როგორც დღესასწაულის წინა დღეებში მთელ სახლს კუთხე-კუნჭულიანად ვასუფთავებთ, ისე განიწმინდება ჩვენი შინაგანი სამყარო.




ლმერთი არამარტო განწმენდს იმ ადამიანებს, რომლებიც მისკენ მიიღოვიან, არამედ მთელ დედამიწას თავისი უთვალავი

წყალობით სარჩოდ და საცხოვრებლად სთავაზობს. ამ ღვთიურ ანაბარს გაფრთხილება სჭირდება და ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ ბუნების წონასწორობას დავიცავთ და უხეშად არ ჩავერევით. არადა ადამიანი უკვე ჩაერია ბუნებრივ წონასწორობაში და ბევრი ნეგატიური ცვლილების მიზეზიც გახდა. ტექნოლოგიის განვითარებამ გარემოს პრობლემები გამოიწვია, ხოლო წარმოების ნარჩენები ეკოლოგიურ პრობლემებს გვიქადის. ამ ყველაფრის შედეგად კი იწამლება ჰაერი, წყალი და მიწა, რამაც ზოგიერთი მცენარისა და ცხოველის სახეობის გადაშენება უკვე გამოიწვია. ამას ემატება სოციალური რყევები, რაც ნათელი დასტურია ღვთიური სასჯელისა, რადგან ადამიანებმა ღვთით დადგენილი ღირებულებების უგულებელყოფა დავიწყეთ.

არადა ადამიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე პასუხისმგებელია გარემოს წინაშე. ის ვალდებულია გაუფრთხილდეს მცენარეებს, ცხოველებს, მწერებს და ა.შ. ადამიანი პასუხისმგებელია იმის გამო, რომ ბავშვების სათამაშო სივრცე ვიწროვდება და ცხოველების სასმელი წყლები შრება. ადამიანი დამნაშავეა ბედნიერების მომნიჭებელი გარემოს შეცვლისა და შემაწუხებელი, დამდლელი, დამაავადებელი გარემოს შექმნისათვის.

ბავშვებმა ადარ იციან ხეების სახელები, ვერ განასხვავებენ ნამდვილი ბულბულის ხმასა და პლასტიკური სათამაშოს ხმას, ქალაქში, სადაც ცხოვრობენ ვერ გამოარჩევენ ისტორიულ კვალსა და ნარჩენებს, არ აქვთ ადგილი, სადაც დროშობანას ითამაშებენ და მრავალი სხვა. ეს ყველაფერი კი ადამიანების ბრალია.



სახლში გამოკეტილი ბავშვები ძალადობის გამომხატველი შინაარსის ფილმების უკრებით ატარებენ დროს. ასეთი ბავშვები კი, ზრდასრულობაში, საკუთარი ტერიტორიის გაფართოების მიზნით მთელ ტყეს აუდელვებლად გადაწვავენ და გაანადგურებენ. ესეც ადამიანების ბრალია.

დედამიწა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ვალდებულებებს არ ვასრულებთ, მაინც ჩვენი უბადლო მეგობარია. როცა ჩვენ ვიღლებით კედლების გადალახვით, ჩვენს წინ უსასრულო პორიზონტებს შლის. მზე, ვინც მის ამოსვლას დაესწრება, დღის განმავლობაში აძლევს გონიერებას სხილობას და ბარაქას. წელიწადის დროები ცხოვრებას ახალ ადგილებად და დროებად ყოფს. გაზაფხული კი თავისი გადაპენტილი ტოტებით ცალკე სასწაულია. ხოლო, თუ ჩვენ ლოცვის გარეშე მივატოვებთ მჩქეფარე წყაროს, ის დაშრება და მიტოვებული მეგობარივით გაგვებუტება. მზე მხოლოდ მაღალ შენობებს შორის ნაპრალებში დარჩება და წელიწადის დროები ხიბლს დაკარგავენ. გაჩერებული ჰაერი ისევ თავისთავში იწყებს დაბინძურებას. დაშრება ტბები და ნაკადულები. ხეები კი გამხმარ ტოტებს წვიმის ვედრებით მაღლა აღაპყრობენ.

მიწა უხვად დაასაჩუქრებს მას, ვინც მას მიხედავს და მოუვლის. ვინც არ მოუვ-

ლის გამოიფიტება და ხრიოკად იქცევა. ხე, ეს არის ჩვენი სახლი და კარი, ბავშვის აკვანი და სუფრაზე კოვზი. ეს ხეებია ჩვენს ფილტვებს ჟანგბადით რომ ავსებენ და მიწას ეროზიისგან იცავენ. ეს ხეებია, რომელთა ფეხვიც, ლეროც, ტოტებიც, ფოთლებიც, ყვავილებიც და ნაყოფიც ჩვენთვის ღვთიური წყალობა და სარჩოა. ამიტომ ბრძანებდა შუამავალი, რომ: “წარდვნის დღეს ვისაც ხელში ნერგი ექნება, მაშინვე მიწაში ჩარგოს”. 9 აპმედ იბნი ჰანბელი, მუსნედი 3, 191)



ეს დარიგება ნათლად გვასწავლის თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხეების

მოვლას და გახარებას. ცნობილი ფაქტია, რომ შუამავალმა მედინას გარშემო თავად გააშენა ხეხილის ბაღი. მის მიერ დარგულ პურმის ხეებს დედამიწაზე მსგავსი არ მოჟ-პოვებათ. ეს ის შუამავალია, რომელმაც ბრ-ძანა: “მდინარესთანაც რომ იყოთ, ზედმეტი წელი არ გამოიყენოთ.” ეს არის წელის მი-მართ დიდი პატივისცემა. ჩვენ კი რას ვაკე-თებთ, ყოველთვის ზედმეტი მოგვდის და არ ვუფრთხილდებით წელს. წელი თითქოს უფასო, მუქთა, უმნიშვნელო რამ იყოს ისე მოდის და მიედინება ონკანიდან.

არადა დმერთმა ეს სამყარო უნაკლო გა-აჩინა. ჩვენ კი დედამიწას სათანადოდ არ ვუფრთხილდებით, რათა ის მომავალ თაო-ბას იგივენაირი ან უკეთესი დავუტოვოთ.

სწორედ ამიტომაა, რომ ჭიანჭველას კი არ უნდა დავადგათ ფეხი. უნდა ვიცოდეთ რომ მიწაც ცოცხალია. მიწისგან მოვედით და ისევ მიწასვე უნდა დავუბრუნდეთ.

დღის ჯილდური

დიდ ქალაქებში, სადაც მიწა მხოლოდ ავტობანის ნაპირებზე ჩანს, ადამიანების პასუხისმგებლობა ბუნების წინაშე უფრო დიდია. ქალაქის პირობებში, როგორც წე-

სი არ მოქმედებენ ბუნებრივი განმწმენდები და არ არის მიწა, რომელიც თავის წიაღში ითვისებს ყველაფერს და ასუფთავებს. ამიტომ ქალაქში არსებობს სანაგვე ყუთები. გამოკვლევებით ცნობილია, რომ ადამიანი სიცოცხლის მანძილზე თავის წონაზე 600-ჯერ მეტ ნაგავს აგროვებს. ნეტა ყველა ეს ნაგავი აუცილებლად სანაგვე ყუთებში მიდის?



ადამიანი, რომელიც ნაგავს ძირს ყრის, იგივე ნაგავის შეხვედრისას წუხდება. ზოგი ზღვაში აგდებს ნაგავს და მერე თევზაობისას ანკესს ამოყოლებული ნაგვის დანახვაზე ბრაზობს. რამდენი ნაგვის სახეობაა, რომლებსაც მიწა და ზღვა ვერ აქრობს. მიწაზე დაცემული ხილის ნარჩენებს მიწა სწრაფად შეითვისებს და გადაამუშავებს. ზღვაში ჩავარდნილი მკვდარი თოლიასთვის

ზღვა საფლავად იქცევა. მაგრამ პლასტიკის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები და სხვა მსგავსი ნივთები მიწისთვისაც და ზღვისთვისაც ძლიერი საწამლავია. ისინი არ იშლებიან საუკუნეების მანძილზე. ჩვენ მოვავდებით, მიწად ვიქცევით, მაგრამ ისინი მაინც იქნებიან დედამიწის ზედაპირზე და გარემოს მოწამლვას გააგრძელებენ. სანაგვე ყუთებში ჩაყრილი ნაგავი მერე სატვირთო მანქანებით სხვა ადგილებში გადააქვთ, მაგრამ ის სანაგვეებიც ხომ დედამიწის ნაწილია.



იქ ხომ ბინძურდება და იწამლება გარემო. შეუშა და ქაღალდიც დროთა განმავლობაში მიწას შეერევა, მაგრამ პლასტიკის და

პოლიეთილინის ნაწარმი ძალიან დიდხანს ძლებს. მათი დაშლისათვის მაღალი ტემპერატურაა საჭირო და გამონაბოლქვიც მომწამლავია. წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ბოთლი, რომელსაც გყიდულობთ ჩვენს ოთახში დავაგდოთ და მაშინ მივხვდებით გარემოსა და მიწის პრობლემას. სანაგვე ყუთს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ვინ იცის რას ადარ გვეტყოდა.

მაგალითად, გადაყრილი ელემენტები (ბარება) დროთა განმავლობაში იქანგება და იხსნება. გახსნილი ელემენტიდან მომწამლავი ნივთიერებები გამოდის და გარემოში ვრცელდება. თუ ეს ადგილი ზღვაა, ვინ იცის რამდენი თევზი იწამლება. მერე კი ეს ყველაფერი ისევ ადამიანებს, საკვების სახით უბრუნდებათ.

ან სანაგვეები წარმოვიდგინოთ. წლების განმავლობაში მიაქვთ ნაგავი და ყრიან. იქ კი საშინელი ანტისანიტარიაა. ეს ყველაფერი ხომ ისევ გარემოში ხვდება. პლასტმასისა და პოლიეთილენის ნაწარმი ერთჯერადი გამოყენებისაა და გადაგდების შემდეგ ზიანის მეტი აღარაფერი მოაქვს. მათ ირგვლივ ყველა და ყველაფერს წამლავენ.

ბუნებას რომ ლაპარაკი შესძლებოდა ზღვები, მთები, ცა და მცენარეები ერთხმად ჩაგვახებდნენ: “არ აიღოთ ისინი, ან იყი-

დოთ, არ გამოიყენოთ, არ გადააგდოთ”. ჩვენ რომ კარგად გვესმოდეს ბუნების ენა ამ ყველაფერს ისედაც გავიგონებდით.

ან იმ ფაქტზე რა უნდა ვთქვათ, როცა მარკეტებში გაყიდული პროდუქტის უმეტესობა ქიმიურ და ხელოვნულ ინგრედიენტებზეა დამზადებული.



დღეს უკვე გაიგეს ადამიანებმა, რომ ბუნებრივი პროდუქტის მნიშვნელობა ძალიან დიდია. თუმცა კიდევ არიან მრავალნი, რომ ლებიც არ აქცევენ ყურადღებას ამ მტკიცნეულ პრობლემას და უსარგებლო და ზიანის მომტან პროდუქტიას მაინც ყიდულობენ. სამწუხაროდ ადამიანები არ ფიქრობენ, ამგვარი ნაწარმის შეძენით როგორ ახალი სებენ გარემოს დაბინძურების პროცესს.

ის უპასუხისმგებლობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა საკვების დაბინძურებას იწვევს, ბუნების მიმართ დაუდევარ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ.

ბუნებაში ჯაჭვისებური ურთიერთკავშირია. უყურადღებობა და დაუდევრობა საბოლოო ჯამში ნეგატიური შედეგების სახით აუცილებლად უპანვე გვიბრუნდება. გლობალური დათბობა და ოზონის ხვრელის გაფართოება საგანგაშოდ გრძელდება. ეს მდგომარეობა საბოლოო ჯამში ზოგიერთი ცხოველის გადაშენებას და ბუნებრივი წონასწორობის დარღვევას გამოიწვევს.



ერთ-ერთი ინდიელი ამბობდა: “როდესაც მიწა უდაბნოდ გადაიქცევა და უკანასკნელი


ხეც გახმება მაშინ მიხვდებით, რომ ბანკ-ნოტები ფული აღარ არის.” ბუნება უსულო არ გახლავთ. ის ცოცხალ ორგანიზმად უნდა ჩავთვალოთ და ადამიანის ადგილას წარმოვიდგინოთ. თუ ვაწყენინებთ, მისი გულის მოგება ძნელია. წითელკანიანებმა კარგად იცოდნენ, რომ ადამიანის გაუმაძღრობა და გამდიდრების სურვილი ბუნებას გაანადგურებდა. მათ იცოდნენ, რომ ბუნება ბედნიერება და სარჩო იყო მათთვის. ბუნება მათი მეგობარი და სიცოცხლის გაგრძელება იყო. შემდეგი ამბავი ადამიანის მიერ გამოწვეული ტრაგედიის მაგალითია:

ახლოში

ერთ-ერთ შორეულ ქვეყანაში, მწვანე ტყის ნაპირას პატარა სოფელში ერთი ბედნიერი ოჯახი ცხოვრობდა. ოჯახი კარავში ცხოვრობდა, მიწას სთესდა, მოსავალს იმკიდა და მათთვის საკმარის სარჩოს თავადვე მოიპოვებდა. ისინი არავისზე იყვნენ დამოკიდებული და ასე ბედნიერად აგრძელებდნენ ცხოვრებას.

მამა ნადირობდა. ის თავისი ფეხმარდი ცხენით დაქროდა და ბიზონებზე ნადირობდა. მერე ცეცხლს ანთებდა და მგლებს აფრთხობდა. დედა ბალ-ბოსტანში მუშაობდა, მწვანილი მოყავდა და ცეცხლზე დადგ-

მულ ქვაბებში გემრიელ საჭმელებს ამზა-
დებდა. დედა აგრეთვე ტყავისაგან ლამაზ
ტანისამოსს კერავდა და ოჯახის წევრების
შემოსვაზე ზრუნავდა. უფროსი ვაჟი ბაღს
რწყავდა, კურდღლებს იჭერდა და ჭიდან
წყალი მოქონდა. უმცროსი ვაჟიც, მიუხედა-
ვად იმისა, რომ პატარა იყო, ძალიან გამრჯე
და მშრომელი იყო. პატარა ჭურჭლით ხში-
რად მასაც მოქონდა წყალი და ცეცხლი-
სათვის ტყიდან ხმელი ფიჩხის მოგროვებაც
მას ევალებოდა. თუმცა მას ყველაზე მეტად
მაინც თევზაობა უყვარდა.



ცხოვრება ასე გრძელდებოდა. ერთხელ მათ სოფელში სხვა ოჯახები გადმოსახლდნენ. ახალმოსულებმა დიდი ინტერესით მოიარეს მთელი სოფელი და ყველაფერს სწავლობდნენ. ისინი სწრაფად ლაპარაკობდნენ და აღელვებული ჩანდნენ. იმდენად მოეწონათ ეს ადგილი, რომ წასვლას აღარ აპირებდნენ. ისინი გაშმაგებით დაერივნენ ლამაზთვალება შვლებს, ფრინველებს და პეპლებს, ხოლო უზარმაზარი ხეები მოჭრეს. მათი ბავშვები კი მხოლოდ თამაშისა და გართობის მიზნით ყვავილებს გლეჯდნენ და ყრიდნენ.

ამ ყველაფრის მიუხედავად ადგილობრივი ოჯახი მათ ყურადღებით ექცეოდა და ეხმარებოდა. აძლევდა ხორცს, რძეს, ტყავს და სხვ. მათაც თავიანთი მხრივ ამ ოჯახს ჭრელა-ჭრულა საჩუქრები და ისეთი დასალევი აჩუქეს, რომელიც ძალაინ მწარე იყო და დალევისას თავბრუსხევევას იწვევდა. სამწუხაროდ ოჯახის უფროსს ეს სასმელი მოეწონა, მიეჩია და ყოველდღე სვამდა, რის გამოც სწორი აზროვნების უნარი დაკარგა.

გადიოდა ხანი. მომხვდურების რიცხვი სწრაფად მატულობდა. ისინი ბუნების, ცხოველების და ადამიანის მიმართ ძალიან უპასუხისმგებლო და დაუდევარი ქცევებით გამოირჩეოდნენ. ისინი მოურიდებლად რეცხავდნენ სარეცხს იმ წყალში რო-

მელსაც სოფელი სასმელად იყენებდა. არ უფრთხილდებოდნენ ხის ტოტებს და ამტკრევდნენ, ხოლო ნაგავს ღამით, ჩუმად მიიტანდნენ მეზობლის ბადში და იქ ყრიდნენ. გარდა ამისა, ტერიტორიები რომ გაეზარდათ ტყეს ჩეხავდენ და სარწყავ წყალსაც მუდმივად თავიანთ ყანებისკენ უშვებდნენ.

ამ ყველაფერს ადგილობრივი ოჯახის უფროსი ვაჟი ხედავდა ცდილობდა წინ აღდგომოდა, მაგრამ ისნი ემუქრებოდნენ. ვაჟი საკმაოდ მამაცი იყო, ამიტომ მუქარას არ შეუშინდა და მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს მარტომ შეებრძოლა, რადგან მისი მეზობელი მამაკაცების უმეტესობა იმ უცნაური სასმელის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ და ეძინათ. ამ მდგომარეობით ისარგებლეს მომხვდურებმა, დამით თავს დაესხნენ ადგილობრივებს და ყველა მამაკაცი ამოხოცეს, მათ შორის ჩვენთვის ნაცნობი ოჯახის უფროსი ვაჟიც. ქალები ბაგშვები და მოხუცები აიძულეს აყრილიყვნენ და სადმე გადასახლებულიყვნენ.

მომხდარის შემდეგ დედამ უმცროსი ვაჟი წაიყვანა და სოფლიდან წავიდა. დიდი ხნის სიარულის შემდეგ ერთ-ერთი მთის ფერდობს რომ მიუახლოვდნენ დედა ავად გახდა და გარდაიცვალა. თუმცა, სიკვდილამდე დედამ თავისი პატარა ახლომახლო მცხოვრებ ოჯახს მიაბარა.

ამ პატარა ბიჭის ტკიფილით სავსე ცხოვრების გამო მისმა შთამომავლობამ წინაპრების ანდერძის საფუძველზე დაწერეს წიგნი. ამ წიგნში აღწერილია თუ როგორ მოექცენენ უცხო მომხვდურები ადგილობრივებს.

ერთ დღეს, როდესაც ეს წიგნი ფართო მასებისთვის ცნობილი გახდა, ყველამ გაიგო იმ უცხო მომხვდურების ნამოქმედარი და ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. თუმცა უკვე გვიანი იყო. იმ საოცარი ადგილიდან არარაფერი იყო დარჩენილი. ყველგან უზარმაზარი ცათამბჯენები აეშენებინათ. სადღა იპოვიდით ნაირფერად ყვავილებს და მათზე მოფარფატე პეპლებს. აღარც ის გორა იყო სადმე, სადაც სასიამოვნო ნიავი ქროდა ხოლმე. ჭალებში მონავარდე ცხენებიც დაეჭირათ და ასე დატყვევებული სადღაც გაეგზავნათ. ნაკადულები დამშრალიყო, მიწა აღარსაით ჩანდა და ბუნება ადამიანზე უკვე გამწყრალიყო.

ამ ყველაფრის მიუხედავად, დროთა განმავლობაში ყველას დაავიწყდა, რომ აქ უცხოტომელმა მომხვდურებმა ადგილობრივები დახოცეს და ყველაფერს დაეპატონენ. თუმცა ეს ყველაფერი აღნუსხულია იმ წიგნში, სადაც ყველაფერი აღიწერება და სადაც არასოდეს არაფერი არ არის გამოტოვებული. (აილა აბაქი)




ასეთ წიგნში, სადაც ყველა ადამიანის ნამოქმედარი დაწვრილებით იწერება, ყველას უნდა სურდეს, რომ დადებითად მოიხსენონ. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც ადამიანი საკუთარ თავზე გაიმარჯვებს და ცდუნებებს დაიოკებს.

დიდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანებისთვის საკუთარი თავის მართვა და წრთვნა, რათა მაგალითი მისცენ შთამომავლობას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამაგალითოდ მხოლოდ ის არ კმარა, რომ

ქუჩაში ნაგავი არ დავაგდოთ. ცხოვრების ნებისმიერი მიმართულებით ყველანი უნდა ვზრუნავდეთ, თუ რა არის სწორი და სასარგებლო ქცევა. ამგვარი ხედვა განაპირობებს გვიყვარდეს ბუნება და ადამიანი, რაც განათლებული ადამიანის მახასიათებელია.

მომავალი ვინმეს ხელში სათამაშო არ გახლავთ. ადამიანები რას აღარ აკეთებენ საიმისოდ, რომ როგორმე არ დაბერდნენ და სიცოცხლე გაიხანგრძლივონ. ასე რომ მივუდგებოდეთ ბუნებასაც, ყველაფერი გაცილებით კარგად იქნებოდა.

ადამიანები რამდენს ხარჯავენ ახალგაზრდობის შენარჩუნებისთვის, გარეგნობისთვის, პლასტიკური ოპერაციებს იკეთებენ და სხვადასხვა მეთოდებს იგონებენ. არადა იმ ფულით შეუძლიათ ტყე გააშენონ, დაბინძურებული ტბები გაწმინდონ და ზოგადად გარემოზე იზრუნონ. თუმცა არც ოზონის ხვრელზე ფიქრობს არავინ და არც იმ საწყალ ცხოველებზე, მოდური ქურქების გამო რომ ხოცავენ. არადა ნამდვილი სიმდიდრე იმ გარემოს სიმდიდრეში გამოიხატება, რომელშიც ვცხოვრობთ. არადა ადამიანები გარემოს მუდმივად ვაზიანებთ და იერსახეს ვართმევთ. თუ ბუნების გაახალგაზრდავებაზე ვიზრუნებთ მისი მღიმარე სახე ჩვენზეც მაცოცხლებლად იმოქმედებს.



რამდენ ადამიანს აქვს გამოცდილი თუ რა ტკბილია ბუნებაში ძილი. ვინ იცის, ასე თუ გაგრძელდა, მომავალში პოეტები და მწერლები დაწერენ, რომ “ბუნება ასეთი იყო”. იქნებ ბავშვებსაც ასე მოვუყვნენ: “ტელეგრაფის მავთულებზე ჩიტები სხდებოდნენ”.

21-ე საუკუნეში ჩვენი ბებერი პლანეტის გარშემო შემოკრული, მისი დამცავი და მაცოცხლებელი ატმოსფერო უფრო და უფრო იფლითება. დახმარებას ვინდა ჩივის, ცოტა ვაცალოთ, ცოტათი შევასვენოთ ეს დედამიწა, რომ საკუთარი თავი აღიდგინოს.

ახლა მოგიყვებით ამბავს, სადაც პატარა გოგონამ, რომელსაც გარემოსთან და ცხოვრებასთან კავშირი თითქმის უნდა გაეწყვიტა, იბრძოლა და საკუთარი თავი გადა-

ირჩინა. გარდა ამისა, ამ ამბიდან ჩანს თუ როგორ ცვლის ადამიანს დედამიწისადმი მიღობა.

სკოლის თავისი


სულეიმანიეს ვიწრო ქუჩებში, ყველაგან რომ შეიძლება შევხვდეთ ისეთი ნისლიანი დილა იყო. აიშე ამ ნისლიან სიფერმკრთალეში მიღოდა და თან ტიროდა. ტირილი მისთვის ერთადერთი რამ იყო, რაც მიეკუთვნა და მასთან დარჩებოდა.

სკოლას კირით ნაკეთი ძველი მოზაიკით მოპირკეთებული კიბე ჰქონდა. კიბეზე ერთმანეთთან მოდლაბუცე ბავშვები, საპირფარეშოს კარებს მიღმა გამოსული მძაფრი უსიამოვნო სუნი, ბუფეტის ჭერამდე ასული ცხელი ორთქლი და მოტეხილი საკიდებოდან ჩამოვარდნილი გაცრეცილი პალტოები აიშეს ტირილის სურვილს უდვივებდა.

შუადღის შესვენებაზე ყვავის ბახალებივით ეზოში მიმობნეულ ბავშვებს შორის ძლივს აგნებდა გასავლელს და ბაღში გადიოდა. მერე კი იქ ჩამომჯდარი ცას შეჟურებდა და თვითმფრინავის გადაფრენას ელოდებოდა. თვითმფრინავი ქათქათა თოლიას ბარტყებს გავდა და აიშაც სულ თც-

ნებობდა, რომ ამ თვითმფრინავზე დამჯდარს ზღვები გადაელახა. თუმცა ზარის ხმა მალევე აღწევდა მის სმენას და ისიც საჩქაროდ გამორბოდა, რათა კიბეებზე ოფლში გახვითქული ბავშვების ზედახორაში არ მოყოლილიყო. გაპვეთილის ყოფნისას დროდადრო “გაიპარებოდა” ფიქრებით და ფანჯარას მიჩერებული რჩებოდა. ფანჯრები ნახევრად შედებილი იყო, რათა ბავშვებს გარეთ არ გაეხედათ. თუმცა, ვიღაცას ზუსტად მის პირდაპირ მინა მრგვლად ამოეფხიკა. უკანა ბაღში მდგარი აკაცია ჩანდა აქედან. იმ ბაღში შესვლა აკრძალული იყო. დავადებული იყო ეს აკაცია. აიშე აკაციის ტოტებს გაჰყურებდა და იქიდან მზერა ცის ლაჟვარდისკენ გადაჰქონდა. საღამოს ხანს, გამუქებული ცა ტალღოვან ზღვას ემსგავსებოდა. აიშე ოცნებობდა, ამ ზღვაში მარტოს შეეცურა ნავით.

იმ დღესაც თვალებჩაწითლებული იჯდა მერხზე. მის გარდა ყველანი აფორიაქებულნი დარბოლნენ აქეთ-იქეთ. კლასი საშინლად ამტვერებული იყო. გარეთ აკაცია ისევ ავად იყო მომაკვდინებელი სენით და ასე ჯიუტად არ კვდებოდა. ამ არეულობაში აიშეს დედის ხმა ჩაესმა. დედა უზარმაზარ წიგნს აწვდიდა და მთელი ხმით უყვირდა: “მე არ მისწავლია. არ მასწავლეს. რომ მესწავლა ასე კი არ იქნებოდა. შენ ისწავლე, ისწავლე... ისწავლე...”



აიშემ თვალები დახუჭა. წიგნის გვერდები არეულ-დარეული იყო. ყველა ფურცელი, რომელსაც გადაშლიდა ხელში რჩებოდა. სიტყვები და წინადადებები მღვრიე წყალი- კით იღვრებოდა სადღაც.

თვალები რომ გაახილა, მიხვდა, რომ კლასში აღარ იყო. ვიღაც ქალმა გაუდიმა.

გული წაგივიდა შვილო და ჩემს ოთახში შემოგიყვანეს. ცოტა დაისვენე.

აიშე გაოცებული უყურებდა გარემოს. ვიღაცას საგარძელები ჩაეწვინა. მაგიდაზე დადგმულ პატარა ვაზაში ყვავილები იყო. აიშეს ეს ყვავილები ძალიან უყვარდა. სუნიც კი იგრძნო და სხეული გამოუცოცხლდა. ტირილი უნდოდა, მაგრამ თავის შეკავება შეძლო. მასწავლებელმა ბევრი ესაუბრა იმ დღეს. იმ დღის შემდეგ კი როცა შეხვდებოდა მთელი გულით გაუდიმებდა და თან სახელით მიმართავდა, “აიშე”.

სულეიმანიე... ვიწრო ქუჩებით, დაბალი სახლებით და მობრეცილი საკვამლურებიდან ამოსული კვამლით ცნობილი სულეიმანიე. ახალი მასწავლებლის გაცნობის შემდეგ აიშე გრძნობდა, რომ ყველაფერმა თავისი ადგილი ნახა. სახლებმა ფორმა დაიბრუნეს. ის კი, ყოველთვის ცუდის და უბედურების მომლოდინე გულგახეთქილი

ბავშვი აღარ იყო. უკვე სკოლის უკანა ბაღში შესვლის უფლებაც ჰქონდა. მის მასწავლებელსაც უყვარდა ის აკაცია და მასზე ზრუნვა აიშეს დაავალა. “თუ ხელი ხელს ჩავჭიდებთ მას გადავარჩენო, აიშე”, ეუბნებოდა მასწავლებელი აიშეს. აიშეც აკაციასთან ერთად უფრო და უფრო კარგად ხდებოდა. უკვე კარგად სწავლობდა. იმიტომ კი არ სწავლობდ, რომ აღარ ეტირა, არამედ იმისათვის, რომ სკოლის ბაღში და გზებზე აკაციები დაერგო და დედამიწა ასე გაულამაზებინა. აიშე იმასაც ფიქრობდა, ნეტა “გოგონას კოშკის” ნაპირას აკაციის დარგვა თუ შეიძლებაო. ხშირად ნახულობდა სიზმრებს. ამ სიზმრებში მასწავლებელთან ერთად გოგონას კოშკში მიდიოდნენ, იქიდან კი შავი ზღვისპენ....

აილა აბაქი

ასეა. ერთ აკაციის ხეს ამგვარად შეუძლია წაიღოს ბავშვის გონება. ჩვენ გვჭირდება სუფთა და ჯანსაღი გარემო, რათა ოცნება ვისწავლოთ, საკუთარი თავისადმი რწმენა გავიძლიეროთ, პეიზაჟს გავხედოთ და შინაგანი სიხალვათე ვიგრძნოთ. ლამაზი სამყარო გვჭირდება. ისეთი სამყარო, სადაც ბევრი მწვანე და ლურჯი ფერები იქნება. ნეონის ნათურების გარეშე, ჯაჭვე-

ბით შემოუღობავი, ბუნებრივი და ლამაზი სამყარო.

ტაპირის ამბავიც აიშეს მსგავსად ისეთ ქალაქში ხდება, სადაც სიმწვანე, წყალი და მიწა თანდათან ქრება. ტაპირი 17 წლის ახალგაზრდა ბიჭია. ერთ დღეს გაზეთში ასეთ ამბავს ამოიკითხავს:


შეკრის ცალკე ქალაქს შესხვებებს

ასობით დამშეული ციყვი რუსეთის ქალაქ ნოვოსიბისკს შეესია. იტარ ტასის ცნობით ქალაქს შემოსეული ციყვები სახლის ბალკონებზე საკვებს ეძებდნენ, ასევე თავს ესხმოდნენ მტრედებს და პატარა ძალ-ლებსაც კი.

გარემოს დამცველთა განცხადებით გასულ ზაფხულს ქალაქის გარშემო ტყეში ციყვების საკვები ნაკლები იყო, ამიტომ ციყვებმა ზამთრისათვის საჭირო საკვების მომარაგება ვერ შეძლეს.

საკების ნაკლებობის გამო მიგრირებული ცხოველები უჩვეულო მდგომარეობას ქმნიდნენ. ამასთანავე რუსმა სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ასეთ დიდი მასშტაბის შემოტევა ცხოველების მხრიდან ჯერ არ დაფიქსირებულა.

ამასობაში, ადგილობრივი სატელევიზიო კანალის ბლაგოვესტის ინიციატივით ქალაქის მოსახლეობამ წამოიწყო კამპანია დამშეული ციფვების დასახმარებლად. ინიციატორებმა შექმნეს ცენტრები, სადაც ციფვებისთვის სკვებს აგროვებდნენ. გარდა ამისა, გარემოს დამცველებმა დაიწყეს პატრულირება, რათა ქურქის ტყავების ბიზნესისთვის მონადირეებს ციფვებ არ დაეხოცათ. 23.11.2004.



ამ ამბავმა ტაკირზე ძალიან იმოქმედა და მთელი დამე ფიქრში გაათენა. ფიქრობდა ამ ამბის მიზეზებზე. ასე დარდიანს გამოუყოსას ჩაეძინა. ღრმად ჩაძინებულმა სიზმარი ნახა. სიზმარში დედამიწის არსებობის უკანასკნელ წლებში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი იყო. როდესაც გამოედგიძა ნაილონის საბანი ნერვიულად მოისროლა. ბამბა და მსგავსი კულტურები უკვე აღარც კი იყო და-

დამიწაზე. მათი არსებობის შესახებ გეოგრაფიის წიგნებიდან იცოდა. უხუცესი ბებიისგან სმენია, რომ ძველათ წიგნებსაც კი გემრიელი სუნი ასდიოდათო. ბებიას ძველი მოსაცმული პქონდა. ყველა ამბობდა, რომ ის ანტიკა იყო. ძველად ცხვრის ფარები ყოფილა და მატყლიც ბლომად იყო თურმე. ახლა კი მხოლოდ სურათებით იცოდა ცხვარი. რძეც ძალიან გემრიელი აქვსო ცხვარს, ასე გაეგონა. სამწუხაროდ ტაჰირი ახლა საუზმეზე რძის მსგავსი ნივთიერებისგან დამზადებულ საკვებს მიირთმევდა. ყველაფერი არანატურალური. ავარიუმშიც ელემენტებზე მომუშავე პლასტმასის თევზები დაცურავდნენ.

ტაჰირმა ქლორიანი წყლით სახე დაიბანა და ვიწრო ფანჯრიდან უდაბნოს გახედა. ჰაერი მძიმე და ჩახუთული იყო. ოთახს კონდინციონერი აგრილებდა. ალბათ ზამთარი იყო, მაგრამ არც წვიმა მოდიოდა და არც სიგრილე იყო.



ტაპირს ბავშვობა ახსენდება. პარკში რომ თამაშობდა. ტაპირს მაშინდელი ხის ფოთოლი ჰქონდა შენახული და როგორც სამკაულს ისე ინახავდა. პარკში დიდი ხანია აღარავინ დადის და მიმონგრეული საქანელები გულისმომკვლელად თავისით

ქანაობენ. გარეთ არავის უშვებენ. მხოლოდ სპეციალური ფორმებით აღჭურვილი ადამიანები გადიან. სამსახურში და სკოლაში მიწისქვეშა მატარებლებით მიდიან. ყოველ ხუთ წუთში ძალიან გრძელი მეტროს მატარებელი მოდის. ყველანი ზედახორაში ცდილობენ ჩასხდომას. მატარაბელი დიდი სისწაფით მიქრის სიბნელეში. არავინ არავის ესალმება.



ერთმანეთს არც უყურებენ და არც უღიმიან. მეტოში ზოგჯერ მუსიკაც ისმის, მაგრამ არავინ უსმენს. ყველას თავისი ყურსასმენი აქვს. ყველას ტელეფონები აქვთ, რითიც ყველაფერს გებულობენ. მეტოდან გვირაბში მიმავლებს ტაბლოზე ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი ციფრები შემოხვდათ. ყველანი მას მიაჩერდნენ. ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელ ტაბლოზე ეწერა, რომ რაოდენობა ზღვარზე იყო. ტაპირიც ყურსასმენებს იკვთებს და სიმღერას უსმენს: “ყველგან კედლებია. რას არ დავთმობდი ლრუბლები და სიმწვანე რომ მენახა”. გარეთ მტვრით დაფარული პლასტმასის ხეები იდგა.

ტაპირი საკლასო ოთახში იჯდა და ნაღვლინად ათვალიერებდა ძველ სურათებს, სადაც მდინარეები და ტბები ჩანდა. იმ ზღვების სურათები, რომლებიც ახლა მაზუთისგან გაშავებულიყო, მუქ-ლურჯად კამკამებდა და ამან ტაპირი ძალიან ააღელვა. ძველ ენციკლოპედიებს ჩახედა. გაოცდა თევზებისა და ფრინველების მრავალეროვნებით. განსაკუთრებით გაუკვირდა პინგვინის სურათი რომ ნახა. ამ საქმემ იმდენად დააინტერესა, რომ სულ ბიბლიოთეკაში ატარებდა თავისუფალ დროს.

სკოლის მეოცე სართულზე, სქელი შუშებით გარსშემორტყმულ ბალკონზე რომ

გადიოდა, მხოლოდ თვალუწვდენელი უდაბნოს დანახვა შეეძლო. მიწა რაღაცნაირად, ავისმომასწავლებლად გამოიყურებოდა. დამსგდარი და უსწორმასწორო, მიხრწნილი ბებერის თვალებივით იმზირებოდა მიწა. ქარი კი აქეთ-იქეთ ეხეთქებოდა უმისამართოდ.



სახლში დედა ყველა საქმეს სხვადასხვა მანქანებს აკეთებინებდა და მაინც გადაღლილი, უხასიათოდ იჯდა მუდმივად და ფიქრობდა, რა საჭმელი მოემზადებინა. მხოლოდ კონსერვები და გაყინული საკვები, სხვა არჩევანი უბრალოდ არ არსებობდა. გარ-

და ამისა, ეს ყველაფერი უგემური იყო და მათი გემრიელად მომზადება უკიდურესად ძნელი იყო. საკვების უგემურობის მიზეზებად, ადამიანები ხელოვნურად მოყვანილ მცენარეულობას და ასევე ხელოვნურ კვებაზე გადაყვანილ ცხოველებს მიიჩნევდნენ. არადა მთავრობის წარმომადგენლები ამას უარყოფდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ხორცს უკანასკნელი ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული დანამატებით ამზადებდნენ.

ტაჰირი სახლში დაბრუნდა და ფანჯრიდან მოღუშულ ცას გახედა. ირგვლივ უზარმაზარი ცათამბჯენებია. ოთახში პლასტმასისგან დამზადებული ხელოვნური კანარიის ჩიტი უსტვენს, რომელიც კუთხეში ჩამოკიდებულ გალიაში ზის. ტაჰირს როგორც იქნა კოშმარიდან გამოეღვიძა.

გონიეროს დამკაველი ცაბარი რის მომიქმედება?

ეს ყველაფერი რომ მართალი ყოფილი კერ ვიცოცხლებდი, ფიქრობდა ტაჰირი. ჯერ კიდევ საწოლში იწვა და ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ ბეღურას უყურებდა. იმ დღეს გადაწყვიტა ტაჰირმა, რომ მხოლოდ და მხოლოდ გარემოს დაცვისა და გადარჩენისათვის იშრომებდა. გადაწყვიტა გარემოს დაცვის ინჟინერი გამხდარიყო. ამ

გადაწყვეტილებამ ისე ააღელვა, თავს იმ გმირად გრძნობდა, რომელმაც მსოფლიო გადაარჩინა.

იმ დღის შემდეგ ტაპირი ყველა იდეას რვეულში ინიშნავდა:

არცერთი ხე, სერიოზული მიზეზის გარეშე არ უნდა მოიჭრას.



ქაღალდის გამოყენებისას ყველას უნდა ახსოვდეს ის ხე, რომელიც მისი დამზადებისთვის მოჭრეს და ამიტომ ქაღალდის გამოყენებისას ყველამ ზომიერად უნდა მოიქცეს.

საკვების შეფუთვაში აღარ უნდა იქნას გამოყენებული პლასტმასი და პოლიეთილუ-

ნი. მათ მაგივრად უნდა გამოვიყენოთ შუშა
და მოიძებნოს სხვა ალტერნატივა.



თუ პლასტმასის გამოყენება აუცილებელია, ის აუცილებლად ერთჯერადი უნდა იყოს და გამოყენების შემდეგ გადამუშავდეს.

ერთჯერადი ელემენტების მაგივრად დასატენი, მრავალჯერადი ელემენტები უნდა გამოიყენებოდეს.

ონკანი ღია არ უნდა დავტოვოთ. (ღიად დატოვებული ონკანი წუთში 12-20 ლიტრი წყლის უსარგებლოდ დაღვრას იწვევს.

ზღვის ნაპირები დაგროვილი ნაგვის ნარჩენებისგან აუცილებლად უნდა გასუფთავდეს. ეს ნარჩენები მილიონობით ფრინველისა და თევზის დაღუპვის მიზეზი ხდება

აუცილებლად უნდა მოხდეს ნაგვის გადამუშავება და თავისუფლად გადაგდებული ნაგავი არ უნდა დარჩეს.

ქარხნებისა და მანქანების საკვამლურებზე აუცილებლად ფილტრი უნდა დამონტაჟდეს.

არცერთ გემს და ქარხანას არ უნდა მიუცეს უფლება ზღვა დაბინძუროს. ზღვის დაბინძურებისათვის სასტიკი ჯარიმები უნდა არსებობდეს.

მებაღე პროფესიონალებმა ყველგან ვარდის ბაღები უნდა გააკეთონ. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება ამ ვარდების სურნელი ჩაისუნთქოს და მსურველებს იაფად უნდა შეეძლოთ მათი შეძენა.

სკოლებში უნდა მოეწყოს საცდელი ნაკვეთები, სადაც ბავშვები მცენარეების მოყვანას და მოვლას ისწავლიან. ასეთ ნაკვეთებში არ უნდა გამოიყენებოდეს შესაწამლი ნივთიერებები.

ქაღალდის წარმოებისთვის ხეების მოჭრის გარდა სხვა ალტერნატიული გზები უნდა გამოიძებნოს. სიმინდი, ბზე, ბამბა და სხვ.

უნდა განვითარდეს მზის ენერგიაზე მომუშავე დანადგარებინ და ზოგადად მზის ენერგიის გამოყენება.

გარემოს ცოდნა

ქუჩებში უნდა განთავსდეს ყუთები, სა-
დაც მეტალისა და ალუმინის შესაფუთ მა-
სალებს ჩაყრიან. მაგ. კონსერვის ქილები,
კოკა-კოლას ალუმინის ქილები და სხვა
მსგავსი.



მუდმივად უნდა იმართებოდეს გარემოს
დაცვის საპროექტო კონკურსები.

გარემოს დაცვის მნიშვნელობა, უპირვე-
ლეს ყოვლისა ბავშვებს უნდა ვასწავლოთ.
ბავშვების ამ მხრივ გათვითცნობიერება
ყველას მოვალეობა უნდა იყოს.

ბავშვებს უპირველეს ყოვლისა ბუნების
სიყვარული უნდა ვასწავლოთ.

ტაპირი ერთის მხრივ თავის სქელკანიან
რვეულში ასეთ ჩანაწერებს აკეთებდა და
მეორეს მხრივ ნაცნობ-მეგობრებთან კონ-
სულტაციებს მართავდა. ყველა იმ მოსაზ-
რებას, რომელიც მოეწონებოდა რვეულში
იწერდა. რვეულის უკანა გვერდებზე ამ მო-
საზრებებიდან გამომდინარე, შესაბამის დო-
ნისძიებებს გეგმავდა და პროექტებსაც ად-
გენდა. ტაპირის აზრით უკანასკნელი ორი
საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი
იყო. მას სჯეროდა, რომ თუ ამათ განახორ-
ციელებდა, დანარჩენი თანდათანობით იო-
ლად მოგვარდებოდა.

გარდა ამისა, ტაპირი წმ. შუამავალ მუ-
ჰამედის ცხოვრებას გაეცნო და გარემოს-
თან მისი დამოკიდებულება გამოიკვლია.
შუამავლის გამონათქვამებმა და მოწოდე-
ბებმა, რომლებიც გარემოს ეხებოდა, ტაპირი
გააოცა. შუამავლის ცხოვრებაში უამრავი
რამ იყო, რაც ბუნებისა და გარემოს დაცვის
საკითხებს შეეხებოდა.

შუამავალმა მექას, მედინასა და ტაიფის ტერიტორია ნაკრძალად აქცია და “ჰარები”-ად გამოცხადა, სადაც ხეების მოჭრა და ცხოველებზე ნადირობა აკრძალული იყო. ასე მან დაიცვა იმ ტერიტორიაზე მყოფი მცენარეები და ცხოველები. (ბუჭარი, ილიმ, 37)



გარდა ამისა, განსაკუთრებით ყურადსაღებია შუამავლის რჩევა, რომლის მიხედვითაც ადამიანს წარღვნის დროს რომ ხელში ნერგი ჰქონდეს და დარგვა შეძლოს უნდა დარგოს. ამით ხეების განაშენიანებისა და მათი მოვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გზავნილია.

გარდა ამისა, შუამავალი ბრძანებდა, რომ ხეების დარგვა და მოსავლის დათესვა მოწყვალებააო.

“მუსლიმი რომ ხეს დარგავს და ამ ხის ნაყოფს ადამიანი, ცხოველი და ფრინველი მიირთმევს, ეს იმ ადამიანისთვის განკითხვის დღემდე მოწყალებად მიიღება.” (აჭმედიძინი ჰანბელი, მუსლიმი, 5, 415)

შუამავალი ამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებას და ამასთანავე გარემოს სისუფთავესაც. ამ მიზნით მან კატეგორიულად აკრძალა ისეთი ადგილების დაბინძურება, სადაც არის თავშეყრის ადგილები, სადაც ადამიანები ხშირად დადიან, ისვენებენ და ა.შ. (მუსლიმი, ტაჟარათ 68)

ტაჟირს განსაკუთრებით მოეწონა ის ჰადისები, სადაც საუბარია ადამიანზე, რომელმაც წყურვილისგან სიკვდილის პირას მყოფ ძალლს ჭიდან წყალი ფეხსამლით ამოუღო და დაალევინა. შუამავალმა ამ ადამიანზე ბრძანა, რომ ის სამოთხეში წავიდოდა. ასევე საუბარია მოხუც ქალზე, როემლმაც კატაშინ გამოკეტა და სასიკვდილოდ გაწირა. მის შესახებ კი შუამავალმა ბრძანა, რომ ის ჯოჯოხეთში შევიდოდა. (ბუჟარი, შურბ, 9)

ამასობაში ტაჟირმა პროექტზე დაიწყო მუშაობა და ამ ძიებისას ამგვარ ინფორმაციას წააწყდა

სამართლებრივი გაფინანსების ხე

ჰათაიში, სამანდაღის რაიონის სოფელ პიდირბეიში დგას საუკუნოვანი ხე, რომელიც უურადღებას იქცევს როგორც ადგილობრივების, ისე უცხოელებისაგან. ამის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ გიგანტური ხის ირგვლივ გარემო დაასუფთავა და მოაწყო ინფრასტრუქტურა. მისი გარშემოწერილობა 20 მეტრია, ხოლო დიამეტრი 7.5 მეტრი. სიმაღლით 16. 70 მეტრია. 20 მოსწავლე თუ ხელებს ჩაკიდებენ მის გარშემო ძლივს შემოსწვდებიან. ხესთან ახლოს არის კაფეტერია, სადაც სტუმრებს დასვენება და ამ საუკუნოვანი ხის ჩრდილში ჩაის დალევა შეუძლიათ.



პიდირბებიში სჯერათ, რომ ეს ხე სამი ათასი წლისაა. ხალხში კი გავრცელებულია ლეგენდა, რომლის თანახმადაც ამ ხის დარგვა და აღმოცენება შუამავალ მუსას უკავშორდება.

ეს რომ წაიკითხა ტაჰირმა პროექტის სახელწოდებაც მოიფიქრა: “მოსეს ხე”.

იმედია ერთ დროს ეს პროექტი განხორციელდება. მწვანე ხეებით გარშემორტყმულ გზებზე სეირნობისას ჩიტების ჭიკჭიგვაც გავიგონებთ, იმედია.

სამყაროს წონასწორობისა და პარმონიის შენარჩუნებისთვის, უპირველეს ყოვლისა ადამიანის გულის სიწმინდეა საჭირო. დედამიწაზე რესურსების არასწორად გამოყენების ტენდენციაა, ბინძურდება გარემო, საზოგადოება უფრო და უფრო გულგრილი ხდება, იზრდება ბოროტება და ა.შ. ამ ყველაფრის მიზეზი კი ადამიანია. მხოლოდ სუფთა გულის მორწმუნე ადამიანებს შეუძლიათ ადამიანებისა და გარემოსთვის სასარგებლონი იყვნენ. დაბინძურება უპირველეს ყოვლისა გულიდან იწყება. ასე რომ გასუფთავება ჯერ გულიდან უნდა დავიწყოთ.

გამომდინარე აქედან, პასუხისმგებლობის მატარებელი ადამიანი, რომელსაც რწმენა

გააჩნია, უმიზეზოდ და უსარგებლოდ ერთ ფოთოლსაც კი არ მოწყვეტს, არც კატას დატოვებს მშიერს და ძაღლსაც მოუვლის. ცხოველებს არ გააწვალებს და მცენარეებს არ გაანადგურებს. არც ბოთლებს მოისვრის ყველგან და ზოგადად ბუნებას არ დააბინძურებს. გაუფრთხილდება ზღვების, ტბებისა და მდინარეების სისუფთავეს. პასუხისმგებლობის გრძნობა არ მისცემს უფლებას სხვანაირად მოიქცეს.



